

ნ.ბ. ზ. ლომიძის



№ 4 (1350) თებერვალი 1971

სიხანა

პამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კაპ.

ნახევარი საუკუნის
წინათ აღსდექ, გადაადლი...
გაიბრწყინე ცა — უკუნი
მძლე ოქტომბრის განთიადით!

უკვდავების დარგე წერგი,
გმირი ერის გულს რომ ენდო.
თებერვალში შენი ღერბი
ჩაუვალ მზედ აღმოენთო.

საზეიმო მაისს ელი,
გამარჯვების გზებით გველოს!
იყოს მრავალუამიერი
ქართველი და საქართველო!



ფულატელისტი

„რას არ ექნას ბაბაუნსა“...

ცუდ ხახიათზე რატომ ხარო? ათასი მიზეზი გამოიწვება იმისათვის, რომ კაცს გუნება გაუფუჭდეს. ალბათ, ბევრჯერ გავიგონიათ, როგორ ლანძღვენ ახლა ტაქსის მძღოლებს ხალხს უსირცხვილოდ ყვლეფენო. ჰოდა, მეც ტაქსის მძღოლი ვახლავართ. ამომვიდა ყანყრატოში ამდენი თათხვა. დილით, ჩავჯექი თუ არა მანქანაში, გადავწყვიტე, ზედმეტი კაპიკი არავისთვის გამომერთმია. პირველი მგზავრც გარაუიდან გამოსვლისთანავე ჩავისვი.

ბაბულის მოვლანი

— გაჩერე!.. — მითხრა გაბერილობორტფელიანმა მგზავრმა და მასაგით გაბერილი საფულადანი ტყინა სამანეთიანი ამოაძრო.

— ერთი წუთით... მიიღეთ ხურდა! — მივუბრუნდი მანქანიდან ნახევრადგადსულ მამაკაცს.

— რაო? — გაიკვირვა მგზავრმა და თავივით წვრილი თვალები გადმოჰაჩა, — ერთი ამას დამიხედეთ, მარცხენა ფეხზე ხომ არ ამდგარხარ დღეს?

— აღარ მახსოვს, ბატონო, მაგრამ ხურდა მაინც მიიღეთ, ეს ფული თქვენ გაყოფინეთ!

— იცი, რას გეტყვი? — ხმას აუწია პორტფელიანმა, — რას მივაჭრები, შე ლაწირაკო! ხვალვე მოვადრობ სამუშაოდან!..

დიღუბა

— გამომართვით! — გამომიწოდა მანეთიანი ახალგაზრდა ვაჟმა და, თანხლებ ქალიშვილთან ერთად, მანქანიდან გადმოვიდა.

— ერთი წუთით... ხურდა მიიღეთ! — მივძახე მიმავალ ვაჟს.

— რა ხურდა?... — ჯერ იყო და დაიბნა, შემდეგ წარბი შეიკრა, ირთხილულ ჩაიცინა და ჯიბიდან კიდევ ერთი მანეთიანი ამოიღო, — გასაგებია, აბა, გამომართვი, მანეთიანი გეტოტავა?... შენი....

— რატომ კადრულობთ, ახალგაზრდავ?! — მეცვალა ფერი, — მანქანად ხომ სამოცდაათხუთმეტი კაპიკი დაწერა... — დიდი ხანია წერა-კითხვა ისწავლე? სანამ მაგ ცხვირი ამბროსის ლავაშივით არ გამიბრტყელებია, ჩქარა მოუსვი აქედან!..

ბაბა

— გაჩერეთ, გეტყვავ!

— მიიღეთ ხურდა!

— ოჰ! რას ბრძანებთ, როგორ გიკადრებათ!

— შეიცხადა ხანში შესულმა მანდილოსანმა, — აბა, ეგ კაპიკები რა დასაბრუნებელია. საამისო რა მიჭირს. გთხოვთ, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ!

მარჯანიშვილის მოვლანი

— ერთი, ჩვენი ძმა, ამ სახლთან გაგვიჩერე! ჰო, ასე!.. .ესეც ორი მანეთი, გიყოფა? — ხელში შემაჩეჩა ფული შეზარბოშებულმა ვაჟმა და უკანა სავარძელზე მჯდომი ბიჭებიც გადმოლაგდნენ.

— აიღეთ ხურდა, სტუდენტები იქნებით, დაგვირდებათ! — მუდარით გაიწოდა ხურდა.

— შენ, რა, ძველო! — მხარზე ხელი დამკრა ერთ-ერთმა მათგანმა, „ჩესტნობაზე“ დებ თავს? — ვითომ რა მოხდა?

— ახლა მოკეტე, თორემ ისეთ ხურდას მიიღებ... — ვინაა ეს გიჟი!

— შეეშვი, ბიჭო, დარტყმილია!..

— ქაჯები ხომ არ ვგონივართ, გამიშვი, მაგისი!..

თვალებზე ცრემლები მომაწვა.

— ძალიან გთხოვთ, დღეს მამაჩემი და, პატიოსან სიტყვას გაძლევეთ, ხურდას არასოდეს აღარ დავბრუნებ! — საზეიმო ფიცი დაჯდე.

მ. ნიჟარაძე.

საზოგადოებრივი ხალხმა დიდი ზემოთ აღნიშნა დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ორმოცდაათი წლისთავი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის, დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ქართველი ხალხი გულწრფელად ულოცავს მოძმი დაღესტნელ ხალხს ამ დიად იუბილეს!

ვბეჭდავთ დაღესტნის ასსრ სახალხო პოეტის, ლენინური პრემიის ლაურეატის — **რასულ გამყაბროვის** სატირულ სტროფებს.

ჩემს მეგობარ კოვბა, მისმა დედამ, მოხუცმა აპარალმა ქალმა, თქვა:

ადრე, აკვანში რომ იწვა მაშინ, დედას უსიტყვოდ მესმოდა ბავშვის. გაიზარდა და ლექსებს წერს უკვე, მაგრამ მის ნათქვამს ვერაფერს ვუგებ.

ერთი კოვბის მეუღლე

სხვაზე ნაკლები არა გყავს ქმარი და ლექსის ფასიც ნამდვილად გეხმის. თუმცა არასდროს კითხულობ ლექსებს, მუდამ კითხულობ ჰონორარს ლექსის.

საიუბილეო

თუმც იუბილე ეკუთვნის წესით, რადგან აქვს ჩინი, ჯილდო, წოდება... არ აღმოაჩნდა ისეთი ლექსი, წასაკითხავად რომ გამოდგება.

მაბეზლარა და საჩივრების დამწერი კოვბა

სხვების აუგში გაგიწყდა ქანცი და მუდამ სხვების საქმეებს არჩევ. სჯობს, საჩივრების კრებულის ნაცვლად, კარგი ლექსების კრებული დაგჩრეს!

მაიმუნის გააღამიანების შესახებ

თუ მაიმუნის კაცად გახდომას დასჭირდა წლები — მიიმე და მაკერი, თურმე სულ ერთი წამიც კი კმარა, რომ მაიმუნად გადაქცეს კაცი.

თანამდებოგიდან მოხსნილი კაცი

თურმე არ იყო მარჯვე მხედარი და ჩამოვარდა ცხენიდან უცებ. ახლა სევდიან სახეს ხედავენ, თავდახრილი რომ მიჰყვება ქუჩებს.

თარგმანა ნოდარ ჯალალონიამ.

ნიანგის ინფორმაციები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქანელა

(ორჯონიკიძის რ-ნი)

იმერეთის მთების ჩქერი — ჩქევს მდინარე ჩხერიმელა, ზედ დევს ხიდი, აკვანივით არწევს ქარი ნელა-ნელა. მანქანები ჰქროდნენ უწინ, დღეს ზედ კაცის გავა ძნელად, წუხს სოფელი ლაშქარდვარი: ხილია თუ საქანელა?

სწყურიათ

(ამბროლაურის რ-ნი)

ეს მოხდა სოფელ მოგვიერს (ამბავი ჩიგმა გვაცნობა): ბიბლიოთეკა აქციეს აქ მალაზიის საწყობად. განა საკვები სოფლისა მარგო ღვინო და პური? სოფელში წიგნი შიათ და სოფელში წიგნი სწყურიათ.

მუჯა: წაველი ახლა მე, შენი ცოლი მოვიდა!




ხუთას სამოცი

(თბილისი, თოიძის ქ. 2)

„საგასტროლოდ“ გასული ალექსანდრე დოლიძე რანანია ნებისად არ წოლილა ლოგინზე: მარნეულში „იღწვოდა“, ფულს ეძებდა დალოცვილს, წარმოებას დასცემა ხელად ხუთას სამოცი. საგარეჯოს ეწვია, ბელი ერგო საკოცნი.

— ბატონო პროფესორო, ნიჰი-რია ჩემი შვილი?
— ნიჰირია, მარამ აკომებს, ჯერ მხმარხვს მივაბარო!



— ვენაცვალე ბიკაჩებს: კიღვს დაიტრაგასა და კიღვს გაიყვანა პირველ კლბილში!

ჩაიჯიბა მაშინვე ისევ ხუთას სამოცი. სამტრედიაც იხილა (რა დალიდა გამოცდილს?) აქაც შეიგყაპუნა მხოლოდ ხუთას სამოცი. ახლა თუ თქვენც გეწვიოთ, თანხას ნულა გამოცვლით, აიღეთ და უბოძეთ მარგო ხუთას სამოცი.

თავსლაფი...

(აბაშის რ-ნი)

გზანი სოფელ კეთილარის არც თუ ისე კეთილ არის. მისვლა სადღურ ჯაპანამდე საჭიროებს ჯაფას რამდენს! გეფიცებით, ჭაობიდან გზას ვერასგზით განასხვავებთ, ხალხნი ლაფში ამოსვრილნი გზის გამგებელს ლაფს ასხამენ.

ნუ მიხელობით!

(თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 57)

ნუ მიენდობით, ქალებო, შოთიკო დარისპანაშვილს, იგი ისეთი ბიჭია, ცოცხლად მოგიწყობთ პანაშვილს: შოთამ გაიწვო ასული — (გვარს ვერ გავამხელ) ანია, ასი მანეთი ესესხა, ჯერაც არ მიუგანია. მერე ნინიკო გაიწვო, კვლავ ეშმაკობას მიმართა:

თხოვა ორასი მანეთი და სადღაც გაუჩინარდა. შემდეგ ეთერი გაიწვო, გაანდო გულის მურაზი, ფული თხოვა და მიიღო, ცოცხა კი არა, ხუთასი. ბოლოს გაიწვო თამარი, ქალი ცისფერი „ბერეგით“ და გამოართვა „მეგობარს“ ხუთას სამოცდა თერთმეტი. ნუ მიენდობით, თურმე შოთა ბიჭია პირმოხაგული, მას თქვენი გული კი არა, ფული ჭირდება „ნაგური“.

ქუჩა-მდინარე

(ბოლნისის რ-ნი)

ვერსად შეხვდებით მდინარეს ულამაზესს და უჩქარესს, როგორც მოეძინება მიაკოვსკის ქუჩაზე. მილი წყალგაყვანილობის წყალს აფრქვევს დიდი ხანია, ხარობენ ქუჩის მცხოვრებნი, ეგრემც თქვენ გაგინარიათ! ცყუმბალაობენ ბაღლები, როცა აცხუნებს მზე ცხარე, დიასახლისნი ჯამ-ჭურჭელს და სარეცხს აქვე რეცხავენ. მალე ნავესაც გაიჩენს აქ ხალხი პირმოხიანარე, ვენეციურად ბოლნისშიც დე, იყოს ქუჩა-მდინარე.

გაიოზ ავაჩაშვილი

ჩვენის სხვენი

გახსენებ სხვენს და თვალწინ წარმოგიდგება ბე-ბიჩემის პატარა სახლი, რომლის სხვენი ჩემი ბავშვობის სამოთხე იყო. ნაირ-ნაირი ხილის ჯიბილურნელები: აქეთ — თურაშაულის, ჩაქარისფერბული მსხლის სალიჩები, იქით — კომში და ბროწეული, ატბის ჩინი და ქლიავის ჩურჩა.

ყველა სხვენი სამოთხე მეგონა, მაგრამ... რაღა იგი სამოთხე, რასაც ასლავს ბნელია? — ჩვენი სახლის სხვენი ჯოჯოხეთი აღმოჩნდა. რატომ? იმიტომ, რომ უპატრონოა და, ხომ მოგეხსენებათ, უპატრონო ჩაქარის ფშაქები დაეპატრონებინათ.

ასლა თქვენა ბრძანებთ: რის უპატრონო, სახლსა ჰყავს ინჰინერი, ბუღალტერი და მდგომარეები, მეტი რაღა გინდათ?... ეგ ვერა, მაგრამ ბიჭი პატრონის ხელში მანაც უპატრონო აღმოჩნდა და ჩვენი დიდი სახლის სხვენს ეშმაკები დაეპატრონენ. ჯერ იყო და, ვიღაც სალახანებმა მოაწყვეს საყობარბაზო კლუბი, შინაურულად აღებდნენ კარებს, ერთმანეთის წინ იჯდებოდნენ, ხელბის რტყმეებით მუსიკაზე ტყავი ძვრებოდათ და გადადოდა მანეთიანები, თუმცაინები... მერე ეძებრებოდნენ ერთმანეთს და საადლოგო კვერცხით უწითლებდნენ ცხვირბირს. როგორც იქნა, მილიჩიის მუშაკებთან ერთად დასახული სტრატეგიული გეგმით, ამას გუშეველი.

დიღხანს სიმშვილე მანაც არ გვიღირსა. შუალამე რომ დადგა, სხვენიდან მეტად საეჭვო ხმაური მოისმა. ბნელნი ასვლა ვერაინ გაბედა. რკინის კიბით ისე ეშვებოდნენ დაბლა მიჭიჭიყილშაბიანი ვიღაც ლეილა და მტვერში ამოგანგული მისი „მეჩუნე“, გეგონებოდათ, უცხოელი ტურისტები ეიფელის კოშკიდან ჩამოდიან პარისის სხვა ღირსშესანიშნობათა დასათვალიერებლად. ბოლოს მგზობლებმა აქაც ერთსულოვნება გამოვიჩინეთ

და, ჩვენი ფულით, სახლმმართველობის ხელისხანს ჩავა-რაზინეთ საქართში.

ვიფიქრე, ახლა კი დავისვენეთ-მეთქი, მაგრამ მალე უარესი დარდუბალა გამოჩნდა. ჩვენს სხვენს დაპატრონებულმა ფშაქმა ახლა მეზობლის ბომბორა ძაღლის სახე მიიღო. ერთ შავნელ დამეს სხვენიდან რისხვასავით გაისმა სხვა ტონალობის ბრაგუნა. ჯერ მიწისძვრა გვეგონა. ჩვენი საწოლების თავზე რაღაც ბუღარაობდა. აგარ-დით მალა, შევევედრეთ, ქერი არ ჩამოეჩრია, მაგრამ ძაღლმა ძაღლადაც არ ჩავგავლო.

სამ საათზე ძლივს ჩავგვიძინა: იმას — მალა და ჩვენ — დაბლა. გარეშაქზე ისევ ყიფა-ღმუილით დაგვაფეთა... ასე მეოღებოდა თვეები. ბოლოს ერთხელ: იმ უპატრონო მის პატრონს, ეშთში ჩამოეჩრია „ადა-მიანის მეგობარი“, საჭმელ-სასმელს არ გამოეუღვეთ-მეთქი. არაო, ავღლო ქვა და სამოფარივით პრიალა თავი შეუშვარა ბატონმა სოკრატემ, გაჩვივებოთ.

ადამიანებს ძილის დრო რომ მოუვიდოდათ, ძაღლი იღვიძებდა, გამოყოფდა თავს და, როგორც მოლა მინა-რეთიდან, ისე მოუწოდებდა თავის მრეგოს ძაღლური რუბაოებით. მილიჩიასაც მივწერეთ და, თრი თვის შემდეგ, გვიპასუხეს, მონადირე ძაღლსა ჰყავს და ხელს ვერ ვაქლებთო... მეტი ჩარა აღარ იყო, ბინის გადაცლა გადაწყვიტე, განცხადებები გავაჩვენე ჩნობათა ბიუროს, ცენტრიდან სულ განაპირა უბანშიაც სისარულით გადავალ მაღალჭირბინიდან დაბალჭირბინში-მეთქი... მსუველიც გამოჩნდა და ის იყო უნდა აგებარებულ-ყავი, რომ ახალი ბინის დასათვალიერებლად წასული კოლი დაბრუნდა და ცივი წყალი გადამასხა: იქ უარესი ამბავია, მთელი ეშო შოთლოფური პარკის ჰაქვს კატები-თა და ძაღლებითაა საყავი.

შალვა გიგაშვილი

სამსახური მიღება

(ხშირსურათიანი პიესა)

კადრების ინსპექტორი: რა გვარი ხარ?

(სიჩუმე)

კადრების ინსპექტორი: რა სპეციალობა გაქვს?

(სამარისებური სიჩუმე)

კადრების ინსპექტორი: ვინ ხარ, კაცო, ხმას რატომ არ იღებ?

— მ მ მ...

კადრების ინსპექტორი: ჰო, ჰო, თქვი!

(გაქვავების პროცესი)

კადრების ინსპექტორი: შენ, თუ ძმა ხარ, აქ ყრუ-მუნჯების სკოლა კი არ გვაქვს, ეს გახლავთ სამმართველო. წამოდი უფროსთან!

(კადრების განყოფილების ინსპექტორი გაცოფებული ძალღვივით შევარდა უფროსის კაბინეტში და მოახსენა ყოველივე).

უფროსი: — მმმ... გუშინ კრებაზე ვინც ბევრს ლაპარაკობდა, იმის ადგილზე დანიშნე!

კადრების ინსპექტორი: დიდებულა, პანტელიჩ, დიდებულა!

ავთანდილ ალექსიძე

ა ვ ა რ ი ა

— როგორ ფიქრობ, დაგვინახა ვინმემ?! — ხმის კანკალით მკითხა ამბერკომ და შემინებულმა გადახედა მომაკვდავს...

— არავის დაუნახავართ, ნუ გეშინია! — ვცადე მეგობრის დამშვიდება და ხელი წაგავლე საჭეს, რომელიც ამბერკის არასაიმედოდ ეჭირა...

— წყუღობაც იყოს ის მოსახვევი! მაინც რა ჯანდაბამ გამომაშტერა! შენც რა ანეკდოტების მოყოლა აგიტყდა! — მისაყვედურა გაფითრებულმა და ერთხელ კიდევ გადახედა მომაკვდავს...

— უნდა ვიჩქაროთ, ჯერ კიდევ სუნთქავს! — ჩაიჩურჩულა და სიჩქარეს უმატა.

მანქანა ჩემთვის უცნობ სახლთან დაგამუხრუჭეთ. ამბერკის ძრავა არც კი გამოურთავს, ისე გადახტა და ეროზი შევარდა.

მაღე გამოვიდა, თან მასპინძელი გამოჰყვა, ხელში უშველგებელი დანა ეჭირა, მანქანაში შემოიხედა, მომაკვდავს გულზე ყური მიადო და აღტაცებით შეჰყვირა: ყოჩაღ, ბიჭებო, ცოცხალია!

რის ვაი-ვაგლახით გამოვართიეთ „ვოლგიდან“ საცოდავი... ცხვარი და, იქვე, თხრილში, სიცოცხლეს გამოვასაღმეთ.

ამირან ერაქი

სად ვეძებო, სად ვიპოვო?

4 იანვარი... რაიონის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მისაღები. შემოდის შორეული სოფლიდან ჩამოსული კოლმეურნი და მდივან ქალს ეკითხება:

— უფროსის ნახვა მინდა, შეიძლება?!

— თბილისშია.

13 იანვარი... მისაღებში შემოდის იგივე კოლმეურნი.

— აუცილებელი საქმე მაქვს, უფროსთან მინდა შეხველა, შეიძლება?!

— არ არის, თბილისშია.

24 იანვარი... კვლავ იგივე მეორედება.

8 თებერვალი... მისაღებში შემოდის იგივე კოლმეურნი:

— უფროსი...

— არ არის, თბილისშია.

— თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, თბილისში მაინც რა მისამართით ვეძებო?!

შალვა გულუა

ჩვენი მშენებელი

სამსახურიდან ახალდაბრუნებული მოქალაქე ზ. გ. აივანზე წამოწოლილიყო და გასეთს კითხულობდა. უცებ შენიშნა: სამზარეულოდან კვამლი გამოდიოდა. იგი დაიბნა, ყვირილი მორთო და, მუშობლების მოსვლამდე, პირველი ეკვეთა ცეცხლს. ასე იხსნა უბედურებისაგან თავისი ოჯახი კეთილსინდისიერმა ადამიანმა.

* * *

მოქალაქე რ. ქ-მ უღირსი საქციელი ჩაიდინა: იგი ჩამოხტა გაჩერებული ტრამვაის უკანა ბაქნიდან. ამხანაგურმა სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა.

ნოზაღი ბარათია.



— რას შორაჩიძე, ბატონო?!

— აბა რა ვქნა, თქვენს რმსტორანში, ამის ბარდა, არაფერი არ იჭმება.

ეკილეთ ლამაზ თვალს

— დათო, წადი, კარაქი იყიდე!
— კარგი რა, დედა! ხომ იცი ჩემი ამბავი: რაც ძველია, იმას მაძლევენ...

— ბიჭო, როდემდე უნდა იყო ასეთი? ენა არ გაქვს? ბოლოს და ბოლოს, კაცი ხომ უნდა დადგე! გამოგიტყდებით და, არ მიყვარს მაღაზიაში სიარული. უფრო სწორად, ერთმა შემთხვევამ შემაჯავრა. ერთხელ დედამ მარგარინისთვის გამგზავნა. მოვიტანე და თავში ჩამარტყა:

— შე ბრიყვო, ხომ ვიცი, წონაში რომ მოგატყუეს, მაგრამ, მაინტერესებს, ამისთანა ნაგავი სად იშოვე?!

მას შემდეგ მაღაზია ჭირივით შემჭავრდა.

ახლა კი რაღაც უჩვეულო ხმამ მიკარნახა, წაუსულიყავი და კარაქი მიყიდა. ხმამ ისიც დააყოლა, კინოს ფული ნამდვილად დაგრიბაო.

შევედი მაღაზიაში და რას ვხედავ: თვალეები, ანგელოზის თვალეები შემომეტყუებენ... „ნუთუ მოვეწონე?“ — გამიელვა გუნებაში, ტანში სასიამოვნო ქრუსანტულა დამიარა და აღარ მახსოვს, როგორ მივედი დახლთან.

— ერთი კილო კარაქი, თუ შეიძლება!

— ინებეთ! — წყნარად თქვა ანგელოზმა, — აი, ხურდაც!
არც ის მახსოვს, როგორ ავედი ავტობუსში, კონდუქტორს ფული გავუწოდე და...

— კარგი რა, კაცო ეს რა ხალხია, უკვე მესამედ მაძლევენ ძველ ფულს. ვინ არის, ვინ არიგებს? სწრაფად დაგხედე ხურდას: მართლა ძველი იყო.

— მამატიე, ძია, მეტი არა მაქვს.

— ვაჰ, როგორ გაბატო? შენ გაბატო და სახელმწიფო დავაზარალო?!

— ახალიც რომ ყოფილიყო, ბილეთს მაინც ხომ არ მომცემდი? ჩათვალე, ვითომ არ ამოვსულვარ.

— რას ჰქვია, ჩავთვალე? ტი შტო... ია სიჩას მილიციას დავეუბნა...

სიტყვის დამთავრებაც კი ვერ მოასწრო, რომ ერთმა ჭარბმაგმა მამაკაცმა ბილეთი ამიღო.

— გმადლობთ!

— არაფრის. მოტყუვდი ხომ?

— მოგტყუვდი.

— უნდა ერილო ლამაზ თვალეებს! — მითხრა მან.

გაკვირვებულმა შევხედე: ხელში მასაც კარაქი ეჭირა...

გამოქვეყნება!

ბაზუკალი ტყის ამბავი

მაქვს პირს მიღებული
„პრიმა“, თუმც არ მინდა.
ჩემთვის „დიდებული“
ბოლი გამოდინდა...
ვლიდინებ ნაღვლიანად,
გული გამიწვრილდა,
მიწველეთ, მომაშორეთ
„პრიმა“ არაწმინდა!
ვერ ვნახე სიგარეტი
„მზიურად“ ხმობილი,
თუმც ფეხით გადავსერე
ქუჩები თბილისის.
„ლუქსი“, „ივერია“
ფილტრით შემკობილი,
სად გაჭრა, გვედრებით,
მითხარით, ვინ იცის?!
დახლის ქვეშ?! დახლის ქვეშ
რა უნდა ნეტავი,
„მზიურს“ მზე შეშვენის,
გამოამზეურეთ!
მომაცილეთ „პრიმა“
გულის დამკეტავი,
თამბაქოს მწვეველებო,
გამომეხმაურეთ!

ალექსანდრე კახიშვილი

ბულბული გარდაიცვალა...
მწუხარებისგან თავზარდაცემული ტყე გაირინდა..
უფრო ძირს დაუშვეს ტოტები მტირალა ტირიფებმა, იცრემლე-
ზოდა ნადირთა მეფე ლომი, ზღუტუნებდა ყვავიც და უკებ მებდა-
ცემულივით გაშეშდა, ცრემლიც კი შეაშრა. ფეხაკრეფით გასცილდა
იქაურობას, შეიჭრა თავის კაბინეტში და საწერი მაგიდის უჯრას ეცა.
ქალაქების დასტის ქვეშ ჩაყვითლებული განცხადება იყო.
„... მომიტევეთ, რომ ასეთ საქმეზე გაწუხებთ, მაგრამ სხვა სა-
შუალება აღარ მაქვს. მოვხუცდი, ჯან-ღონე აღარ მერჩის, თუმცა სიმ-
ღერის თხზვა კიდევ შემძლია. გთხოვთ, გამომიყოთ დღეში ნახევარი
წუთი ფეტვი, რათა აღარ ვიზრუნო საკვებზე და ჩემი ახალი ქმნი-
ლებებით დავატკბო ტყის ბინადარნი. ბუზბუზი“.


განცხადებას გაკრული ხელით დაუდევრად ჰქონდა წაწერილი
რეზოლუცია:
„ტყეში ვისაც კი ჭიჭიკი მოესურვება, ყველას დახმარებას ვერ
გავუწევთ! ა. შვანჩაძე“.

გაცოფებულმა ყვავმა განცხადება მოისროლა. მაგრამ ამას რას
სჩადის? ერთიც ვნახოთ და ასლი არწივთან აღმოჩნდეს? რომ მოი-
კითხოს, რა ზომები მიიღეო, სად მიხვალ მერე?.. ისედაც ყველას
პირზე აკერია: ყვავს კაკალს ვერ გააგდებინებო. ყვავი ისევ განცხა-
დებას ეცა, ფრთხილად წაშალა ძველი და ახალი რეზოლუცია დაა-
წერა:

„განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მსოფიან მგოსანს. შეი-
ქმნას მისთვის სპეციალური შტატი კონსერვატორიაში. მიეცეს ჯამა-
გირი 250 მანეთი“.

განცხადება მართლაც მოიკითხეს. რეზოლუციის წაკითხვაზე
უფრო ძლიერ აქვითინდნენ. ყვავი ხომ სულ ცრემლად იღვრებოდა.
ბულბულის პატივსაცემად შტატი შტატად დატოვეს და, რამდენიმე
ხნის შემდეგ, იმ ადგილზე... ყვავის შვილი დანიშნეს, ახალგაზრდა.
ჯანღონით სავსე, ჰოდა, მერე რა მოხდა ისეთი? არაფერი. განსხვავე-
ბა ის იყო მხოლოდ, რომ ყვავის ბახალას გალობა არ შეიქცოდა...

ფურღან ყორღანაშვილი



ქართული
გამომცემლობა

**მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ლუმაბაძე**

სარედაქციო
კოლეგია:
წ. ბოლქვაძე
(პ/მზ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალაშვილი,
ბ. ნიშნაძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.


სატირისა და იუმორის
შუბნული „ნინანი“.

თბილისი, რუსთაველია
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нинанги».
ბულ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საბ. კვ ცვ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.


გადაცემა ასაწომად
26/1-71 წ.
ხელმოწერილია დასა-
გემად 15/11-71 წ.
ქალაქის ზომა
70x108¹/₈.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1.
სააღრიცხვო-საგამომცემ-
ლო თაბანი 1,4.
საბ. კვ ცვ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14
შპკ. № 293.
შპ № 01901.
ბირატი 124.500.



სად იყავი მაშინ?

პაროდია ზოგიერთებზე



როცა დავრგეთ ყვავილები ბაღში,
მაშინ მოხვევ, „გაშლილ სუფრის“ ღმერთო,
სად იყავი, სად იყავი მაშინ,
როცა გულში ჭმუნვის ალი გვენთო?
როცა მტერი გადაუდგა ნამუსს
და გავვხვია ურცხვად ცეცხლის ალში,
როცა მკერდით ავეფარეთ მამულს,
სად იყავი, სად იყავი მაშინ?
გამარჯვებას როცა შევხვდით ტაშით,
როცა ომის ნაკვალევსა ვშლიდით,
სად იყავი, სად იყავი მაშინ,
ნატყვიარ მკერდს როცა დოღბანდს ვხსნიდით.
როცა სამომ ხეხილს ვრგავდით ბაღში
და ქართულ ვაზს ვახარებდით ზერებში,
სად გეძინა, სად გეძინა მაშინ,
სად იყავი, ცოცხლებში თუ მკვდრებში?!
როცა კაშხლებს ვამრავლებდით წყალზე
და ცხრათვალა მზე შეგეყავდა სახლში,
რად იდექი ციტარით განზე,
სად იყავი, სად იყავი მაშინ?
ახლა, როცა ცას შევხარით სუფთას
და ჩვენს ზეიმს მშვიდობა რომ იცავს,
მოვლენილსარ დღეს შენც გაშლილ სუფრას,
ადღევრძელებ საქართველოს მიწას.
ყანწით ხელში ფეხზე დგახარ დიდხანს,
ქარიშხლიან წლებზე ამბავს ჰყვები,
და ლაპარაკს აღარ აცლი იმ ხალხს,
ვინც ქარიშხლით გაგისწორა ფრთები.
როცა თასით მათ დიდებას ვფურცლავთ,
ვინც ახარა ყვავილები ბაღში,
სამადლობელს შენ რომა სვამ ურცხვად,
სად იყავი, სად იყავი მაშინ?


ამერიკულ ყურნალ „ტა-
იმისი“ გამოთვლით, სენა-
ტორის სავარძლის მოპო-
ვება კაპიტოლიუმში 3,5
მილიონი დოლარი ჯდება.

— რასაკვირველია, ქალზე
კვირია, ბატონო, მაგრამ სა-
მაგიეროდ პირდაპირ სენატში
შევაგრიალეებს!

გრიგოლ ჩიქვილაძე


КОНТРОЛЬНЫЕ

ყველაზე




უსიტყვოდ.

ნახ. შ. შაჩუაშვილისა



- თქვენს მეუღლეს სასწრაფოდ უნდა ამოვჭრათ გრმა ნაწლავი.
- კი მაგრამ, შარხან არ ამოვჭერთ?
- შარხან აკანდიციტი ამოვჭერთ!



ნახ. ზ. მართაშვილისა
 შაჩუაშვილი
 გიგლიორთისკენ


ИНДЕКС 76137

უსიტყვოდ.




უსიტყვოდ.

ნახ. რ. ჯაშისა



უსიტყვოდ.



უსიტყვოდ.